ორმაგი დაუცველობა და უსაფრთხოება: ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სომეხ ქალთა შემთხვევის შესწავლა საქართველოში

კვლევის პრობლემა

საქართველოში ძალიან მწირია ემპირიული და აკადემიური კვლევები, რომლებიც სწავლობს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების პრობლემებსა და გამოწვევებს ორმაგი მოწყვლადობის კუთხით.

კვლევის მიზანი

ჩვენი კვლევა მიზნად ისახავდა, შეესწავლა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების უსაფრთხოების საკითხები გენდერული პერსპექტივიდან და ხაზი გაესვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, გაძლიერდეს ქალების აგენტობა და გაჟღერდეს მათი ხმა უსაფრთხოების დღის წესრიგის შემუშავების პროცესში.

მეთოდოლოგია

რა? **6 ფოკუსჯგუფი** აზრბაიჯანული და სომხური ეთნიკური წარმომავლობის მქონე **48 ქალთან.** ასევე **8 პირისპირი ინტერვიუ.**

ვინ? ექსპერტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებთან.

სად? თბილისში, მარნეულსა და ახალქალაქში

როდის? ივნისი-ივლისი, 2021

განმარტება/ ჩარჩო

ადამიანის უსაფრთხოების ჩარჩო ხალხზე ორიენტირებული მიდგომაა და ის საკითხის ცენტრში ინდივიდებს აყენებს. ეს მიდგომა გვეხმარება რომ უსაფრთხოება სამხედრო სფეროს მიღმა დავინახოთ და იგი, როგორც მულტი-სექტორული საკითხი გავიაზროთ. ამ მიდგომის მიხედვით, უსაფრთხოება პიროვნულ, ეკონომიკურ, სასურსათე, ჯანდაცვისა და პოლიტიკურ სფეროებს მოიცავს.

FRIEDRICH EBERT STIFTUNG
WeResearch

კვლევა "ორმაგი დაუცველობა და უსაფრთხოება: ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სომეხ ქალთა შემთხვევის შესწავლა საქართველოში" განხორციელდა ორგანიზაცია WeResearch-ის მიერ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის მხარდაჭერით.

ძირითადი შედეგები:

1. ორმაგი მოწყვლადობა

პატრიარქალური სტრუქტურები ყველა ეთნიკური წარმომავლობის ქალზე ახდენს გავლენას, თუმცა, სხვადასხვანაირად. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები ორმაგად მოწყვლადები არიან მათი სქესისა და ეთნიკური მიკუთვნებულობის გამო. ეს ზრდის რისკებს რომ ისინი ძალადობის, საზოგადოებიდან გარიყვისა და გაუცხოების მსხვერპლნი გახდნენ.

2. უსაფრთხოება, საზღვრები და ტერიტორიული კონფლიქტები

რეგიონული ტერიტორიული კონფლიქტები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალებზე გავლენას მრავალი სხვადასხვა კუთხით ახდენს. იმ შემთხვევაშიც კი თუ ქალები პირდაპირ არ არიან კონფლიქტით დაზარალებულნი, ისინი განიცდიან ბულინგს, დაძაბულობასა და ღმა ემოციურ წუხილს.

3. უსაფრთხოების სექტორი



მიუხედავად იმისა რომ ბოლო წლებში ოფიციალური დოკუმენტების ენა პოზიტიურად შეიცვალა, ეთნიკური უმცირესობები ინსტიტუციურ დონეზე, მაინც როგორც სახელმწიფოებრიობის საფრთხედ განიხილებიან. პირდაპირი დისკრიმინაცია ხშირად საზოგადოებისგან უფრო იგრძნობა, ვიდრე სახელმწიფო აპარატებისგან, ხოლო „ღია“ დისკრიმინაცია მისმა ფარულმა ფორმებმა შეცვალა.

4. უსაფრთხოების დილემა

ეთნიკური უმცირესობების ქალები უსაფრთხოების უხმო დილემის წინაშე არიან: მათი პირობითი უსაფრთხოება ხშირად სიჩუმეზე როგორც გადარჩენის სტრატეგიაზეა დამოკიდებული. პრობლემებზე ხმამაღლა საუბარმა კი შესაძლოა მათ წინაშე არსებული საფრთხეები გაამწვავოს.

„საზოგადოებას მიაჩნია, ხომ ქალი უნდა იყოს ჩუმად და თუ სცემეს, ის ამას იმსახურებს. ეთნიკურად აზერბაიჯანელი ან ეთნიკურად სომეხი ქალები ჩვენს ხეგიონში იშვიათად მიმართავენ პოლიციას, ხადგან წასასვლელი ახსად აქვთ. მეც მიფიქრია, ხა იქნება პოლიციის შემდეგ? მეც მქონია [ოჯახური ძალადობის] შემთხვევები და პოლიციას ახ მივმართე. ახ მინდოდა შვილებთან ერთად მშობლების სახლში დაბრუნება და სხვა წასასვლელი ახსად მქონდა. მე ვერ ვნახე სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა.
(მარნეულის ფოკუსჯგუფი, ქალი, ასაკობრივი ჯგუფი 29+)

5. ქალთა ხმა და წარმომადგენლობა

ორმაგი მოწყვლადობის მიუხედავად ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები თანდათან აქტიურდებიან თავიანთ თემში. იმის ნაცვლად, რომ ეთნიკური უმცირესობის ქალები წარმოვადგინოთ, როგორც მხოლოდ მოწყვლადი სუბიექტები, ძალისხმევა უნდა მივმართოთ როგორც მათი დაუცველობის აღიარებისკენ, ასევე მათი ხმის გაძლიერებისკენ.

FRIEDRICH EBERT STIFTUNG
WeResearch

კვლევა “ორმაგი დაუცველობა და უსაფრთხოება: ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სომეხ ქალთა შემთხვევის შესწავლა საქართველოში” განხორციელდა ორგანიზაცია WeResearch-ის მიერ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის მხარდაჭერით.